ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველა!

კოლხიდა

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2018 წელი №22 16-30 ნოემბერი (9445) ფასი 40 თეთრი

მუნიციპალიტეტის მერიაში

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს

სტიქიის შედეგების მაქსიმალურად მოკლე ვადებში ლიკვიდაციის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და რეგიონული სამსახურების წარმომადგენლები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინირებულ რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ. სენაკის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, მრავალბინიანი კორპუსების დაზიანებული სახურავების აღდგენისა და რკინიგზის ყოფილი სკოლა-ინტერნატის დევნილთა დასახლების გადახურვის პირველადი სამუშაოები. სტიქიით დაზარალებულებთან იმყოფებოდნენ საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალიტეტის ორგანოებთან ურთიერთობისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დეპარტამენტის უფროსი ირაკლი თოფურია, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები. ისინი ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნენ. მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო შტაბი საგანგებო რეჟიმში მუშაობს. აღდგენითი სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს ზარალის შეფასება. ტარდება ყველა საჭირო და გადაუდებელ ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობის უსაფრთხოება და მოხდეს მყისიერი რეაგირება დაზარალებულთა დასახმარებლად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ვიზიტი სენაკში

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სენაკს ესტუმრა. მინისტრმა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორთან ალექსანდრე მოწერელიასთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან, სენაკის მაჟორიტარ დეპუტატთან ირაკლი ბერაიასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან კუპრეიშვილთან, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იუსტიციის სახლის მშენებლობა დაათვალიერა. იუსტიციის მინისტრი სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო, მშენებლობაზე დასაქმებულებს და სენაკელებს გაესაუბრა. „სენაკის იუსტიციის სახლი თავისი ინდივიდუალური სტილით იქნება ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა. იგი არქიტექტურულად და ფუნქციურად დაამშვენებს და გააფართოვებს ქალაქის არეალს. სენაკშიც სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღება სენაკშიც იქნება შესაძლებელი.'' - აღნიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა. იუსტიციის სახლის გახსნის შემდეგ სენაკელებს საშუალება მიეცემათ „ერთი ფანჯრის პრინციპით'' ისარგებლონ სახელმწიფო სერვისებით, რომლის კონცეფცია სწრაფი და ეფექტური მომსახურების მიწოდებას წარმოადგენს.

გამოცდილების გაზიარება თანამედროვე სკოლის განვითარებისთვის

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სენაკის მართლმადიდებლურმა სკოლა-გიმნაზიამ მასწავლებელთა საგანმანათლებლო კონფერენციას უმასპინძლა. „გამოცდილების გაზიარება თანამედროვე სკოლის განვითარებისთვის" ფარგლებში, მონაწილეობა მიიღეს მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს 2017-2018 წლების საუკეთესო მასწავლებლებმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა. კონფერენციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ბერაია, საქართველოს პარლამენტის წევრი ოთარ დანელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დარეჯან ზარანდია, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები, პედაგოგები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. თავდაპირველად სტუმრებმა მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზია დაათვალიერეს, შეხვდნენ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსსა და საგანმანათლებლო პროექტებში გამარჯვებულ მოსწავლეებს. მასწავლებელთა საგანმანათლებლო კონფერენციას მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის პედაგოგი, ლიდერი მასწავლებლის წოდების მფლობელი უტა კილასონია უძღვებოდა. „განათლების სისტემის ეფექტიანობას მნიშვნელოვანად ხელს უწყობს მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარება. ამ მიმართულებით განსაკუთრებულად სასარგებლოა მასწავლებელთა გამოცდილების, ცოდნის, სიახლეების გაზიარების პროფესიული შეხვედრები. აღსანიშნავია, რომ სწორედ მსგავსი შეკრებები ძალზედ წარმატებულია სკოლის საგანმანათლებლო სისტემაში სიახლეების გავრცელებისა და დანერგვისათვის." - აღინიშნა კონფერენციაზე, რომელიც მიზნად ისახავდა პედაგოგებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, სწავლების სტრატეგიებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების, მისი პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას.

გიორგი გახარია სტიქიის ზონაში შექმნილ ვითარებას პირადად გაეცნო

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ ის ლოკაციები მოინახულა, რომელიც ძლიერი ქარის შედეგად დაზიანდა. მინისტრი პირადად გაეცნო სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს. საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან ლევან კუპრეიშვილთან, მერის პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მერის მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ურიდიას ქუჩაზე მდებარე დევნილთა დასახლებაში იმყოფებოდა, სადაც დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და შექმნილ ვითარებას ადგილზე გაეცნო. სტიქიამ ურიდიას ქუჩაზე მდებარე რკინიგზის ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობაში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები საგრძნობლად დააზარალა. ძლიერმა ქარმა საცხოვრებელი კორპუსის სახურავის ნაწილი გადახსნა. ამ დროისთვის აღნიშნულ ლოკაციაზე აღდგენითი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურლი სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა პირველ მოადგილესთან გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან კახაბერ კუპრეიშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა. სენაკის მუნიციპალიტეტში ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და მთელ ქალაქს მოიცავს. რეაბილიტაციის დასრულების შედეგად, ქალაქის მოსახლეობა კეთილმოწყობილი, განახლებული ტროტუარებით ისარგებლებს. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველისა და კოსტავას ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოებს, ღირებულებით 239 826 ლარი, ახორციელებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „ტოტალი''. შხეფის უბანში, ჯანაშიას ქუჩიდან ჭყონდიდელის ქუჩამდე მონაკვეთზე, სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „კოლხიდა'' ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება 320 824 ლარს შეადგენს. აკაკი ელიავას ქუჩაზე მიმდინარე ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციის პროცესს, ღირებულებით 90 190 ლარი, ახორციელებს შპს „ჯი ემი. - ''. რუსთაველის, ჯორჯაძის (რუსთაველის ქუჩის კვეთიდან ჭავჭავაძის ქუჩის კვეთამდე), ვაჰანიას (რუსთაველის ქუჩის კვეთიდან ჭავჭავაძის ქუჩის კვეთამდე), წმ. ნინოს (რუსთაველის ქუჩის კვეთიდან ჭავჭავაძის ქუჩის კვეთამდე), ქურდოვანიძის ქუჩებზე (რუსთაველის ქუჩის კვეთიდან ლ.დადიანის ქუჩის კვეთამდე), ახალგაზრდობის ხეივანსა და წმინდა ნინოს ქუჩაზე („ლიბერთი ბანკის" მიმდებარედ) ტროტუარების რეაბილიტაციის პროცესს, ღირებულებით 241 777 ლარი, შპს „აფო" ახორციელებს. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს რუსთაველის ქუჩაზე 112, დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, საცხოვრებელი კორპუსის ეზოს შემოკავების სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს „დაგი". სამუშაოების ღირებულება 10 910 ლარს შეადგენს.

გაზიფიცირების წინასაპროექტო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე 2012 წლიდან ქვეყნის გაზიფიცირებისათვის საჭირო წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს. ამ მხრივ სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ხელისუფალთა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ქალაქის დარჩენილი ნაწილის და სოფლების გაზიფიცირება, გამართული და მდგრადი სისტემის შექმნა, ბუნებრივი გაზის შეუფერხებელი და უსაფრთხო მიწოდება წარმოადგენს. ამ ეტაპზე სენაკის მუნიციპალიტეტის თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში - გოლასკური, ტყირი, რეკა, მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელი ბათარია, ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში - კოტიანეთი, საჩიქობაო, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში - საბესელიო, საკილასონიო და საოდიშარიო, წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. სამუშაოების მიმდინარეობას შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" წარმომადგენლებთან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი გაეცნენ. სენაკის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შედეგად მოსახლეობა ქალაქად და სოფლად ბუნებრივი აირით შეუფერხებლად ისარგებლებს. გაზიფიცირებისათვის საჭირო წინასაპროექტო და გაზმომარაგების ქსელის სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს მთავრობა სრულად აფინანსებს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

ოლიმპიური ჩემპიონი

მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს არგენტინაში ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე, სასპორტო გაერთიანების, სასპორტო სკოლის მოსწავლემ, 17 წლის გიორგი ჩხიკვაძემ ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში სამი ბრძოლა გამართა. პირველ წრეში ძლიერი სომეხი მეტოქე დაამარცხა, მეორეში- ალჟირელი მეტოქე. ყირგიზელ მეტოქესთან ბრძოლა დამაჯერებელი გამარჯვებით დაასრულა და ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე პირველი ოქროს მედალი მოიპოვა. ამ არენაზე პირველად აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. დიდი სიამაყით გაიზიარა გიორგის გამარჯვება მშობლიურმა სენაკმა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ჩემპიონს გამარჯვება მიულოცა და ფულადი საჩუქარი გადასცა. სპორტსმენს გიორგი ჩხიკვაძეს ფულადი საჩუქარი გადასცა მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების დირექტორმა ჯუმბერ ლაშქარავამ.

ინდივიდუალური სტილის მხატვარი



7 ნოემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში, გაიხსნა მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამხატვრო სკოლის კოორდინატორის, ნიჭიერი მხატვრის, რესტავრატორისა და ხატმწერის ნუკრი(მოსე) გერსამიას ნახატების რიგით მეორე პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილი იყო ფერწერა, მინიატურა, გრაფიკა, ხატწერა.

გამოფენას სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი გივი მისაბიშვილი, სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის დირექტორი ლევან უჩანეიშვილი, მხატვარი რეზო ადამია, სენაკის საპატიო მოქალაქეები, განსაკუთრებული სტუმარი მოსკოვიდან მწერალი და არქიტექტორი ალექსი ევტუშენკო მეუღლესთან, კინორეჟისორ ლუდმილა ევტუშენკოსთან ერთად, მერიისა და საკრებულოს, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნუკრი გერსამიამ 1970 წელს დაამთავრა სენაკის № 1 საშუალო სკოლა, სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა თურქმენეთის ქალაქ კუშკაში. 1976 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1982 წელს. იყო ახალგაზრდა მხატვართა კავშირის წევრი.

1978-90 წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურის და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო და სარესტავრაციო სახელოსნოში მხატვარ-რესტავრატორის სპეციალობით. 1993 წელს ჩამოვიდა სენაკში და მუშაობდა საბავშვო –სამხატვრო სკოლაში პედაგოგად.

1993 -2003 წლებში მუშაობდა რუსეთში მხატვრად. შემდგომ ეწოდა შემოქმედებით და პედაგოგიურ მოღვაწეობას სენაკის სამხატვრო სკოლაში, იყო დირექტორი. 2018 წელს სამუსიკო სკოლისა და სამხატვრო სკოლის შერწყმით შექმნილ ხელოვნების ცენტრში არის სამხატვრო სკოლის კოორდინატორი.

ძეგლთა დაცვის სამმართველოში მუშაობის დროს სხვა მხატვრებთან ერთად აღადგინა ცნობილი ძეგლები: გელათის თაზარი, საფარის წმ. საბას ეკლესია, ტიმოთეს უბანი, დავით გარეჯი, ქაშუეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, მამა დავითის ეკლესია(მთაწმინდა) წმ. ნიკოლოზის ეკლესია ვორონცოვზე, სამების ეკლესია(საჯარო ბიბლიოთეკის უკან).

შეასრულა რამდენიმე ძეგლის რესტავრაცია –კონსერვაცია, იმუშავა ცნობილი ცისფერყანწელების კაფე „უქიმერიონის" აღდგენაზე, რომელიც თავის დროზე მოხატეს მხატვრებმა: ა. სუდეიკინმა, ლ. გუდიაშვილმა. დ. კაკაბაძემ და ვალიშევსკიმ.

ნუკრი გერსამიას ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში, ეკლესიებში, საქართველოსა და საზღვარგარეთ, კერძოდ: რუსეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ისრაელში, აშშ-ში, კანადაში. მხატვარი აქტიურ მონაწილეობას იღებს ჯგუფურ გამოფენებში.

მოწვეულმა სტუმრებმა გამოფენის გახსნისას მიმოიხილეს მხატვრის შემოქმედებითი გზა. ნუკრი გერსამიას ნამუშევრების ინდივიდუალურ სტილსა და გამოკვეთილ პროფესიულ ხელწერაზე ისაუბრეს და დაბადების დღე მიულოცეს სენაკის საპატიო მოქალაქეებმა: მხატვარმა რეზო ადამიამ, ექიმმა პაატა ქურდოვანიძემ, დამირ კუჭავამ, პედაგოგმა დარეჯან ფაჩულიამ, რომელმაც თავისი მილოცვა სიმღერით დაიწყო, მხატვრებმა ლერი კართხიამ და კოვალი ხუნწარიამ, ლევან უჩანეიშვილმა, მწერალმა და ჟურნალისტმა ლანდა მასხულიამ, ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ვეფხვია ვეფხვაძემ მუნიციპალიტეტის მერიის სახელით სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მხატვარს და შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

ჩამოსულმა სტუმარმა ალექსი ევტუშენკომ დიდი სითბოთოთი და პატივისცემით გაიხსენა ბატონ ნუკრისთან ურთიერთობის წლები. „ნუკრი არის თავის საქმის პროფესიონალი, არაჩვეულებრივი ადამიანი. ჩვენ დიდი ხნის წინ შევხვდით ერთმანეთს, მე ვემზადებოდი სტუდენტობითვის, ის სამხედრო სავალდებულო სამსახურს იხდიდა, მან მე მასწავლა ხატვა და იმდენად კარგად მასწავლა, რომ მე პირველივე ცდაზე ჩავირიცხე ლვოვის პოლიტეკნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. გავიდა დრო და ჩვენ ერთმანეთი „დავკარგეთ", დიდხანს ვეძებდი და სოციალური ქსელის მეშვეობით ვიპოვე. როცა მითხრა, რომ მისი პერსონალური გამოფენა ეწყობოდა, მე და ჩემი მეუღლე დაუფიქრებლად წამოვედით საქართველოში. ნუკრიმ შესანიშნავი მასპინძლობა გაგვიწია. მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილი დაგვათვალიერებინა, გვახიარა ქართულ სამზარეულოს. აღფრთოვანებული ვართ ქართული სტუმართმოყვარეობით."

ბატონი ნუკრი გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრი ნამუშევრებს ქმნის , მუშაობს სამხატვრო სკოლაში და დიდი წვლილი შეაქვს პატარა მხატვრების ჩამოყალიბებისა და სწავლა-განათლების საქმეში.

ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ნაყოფიერ მოღვაწეობას.

p.s. ახლო მომავალში სენაკის მუნიციპალიტეტის სამხატვრო გალერეა მხატვარ რეზო ადამიას ნამუშევრების გამოფენას უმასპინძლებს.

მ. ბერგაია

„თანამედროვე მიდგომები ყველა პროფესიას სჭირდება



რამინ გუნია სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების მედიკოსთა ძლიერი გუნდის წევრია. გუნდი კვალიფიციური და პერსპექტიული, გამოცდილი ექიმებისგან შედგება.

ბატონი რამინი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში დაიბადა. მამა მიხეილ გუნია დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. საბრძოლო დანაყოფი მაშინ ვენაში იდგა. დედა ნაზი არზიანი კეთილშობილი და ოჯახის მოყვარული ქალბატონი გახლდათ. ომის შემდეგ ოჯახი საქართველოში დაბრუნდა.

რამინ გუნიამ დაამთავრა მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. შემდეგ მუშაობა დაიწყო სოხუმის კანისა და ვენერიული დაავადებათა რესპუბლიკურ დისპანსერში.

1978 წლიდან რამინ გუნია სენაკშია. მუშაობდა კანისა და ვენერიულ დაავადებათა რაიონულ დისპანსერში ჯერ ექიმად, შემდეგ დირექტორად. ამჟამად სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-დერმატოლოგია.

თავისი მრავალწლიანი სამედიცინო პრაქტიკის მანძილზე ასობით ავადმყოფისათვის დაუსვამს სწორი დიაგნოზი და გაუწევია კვალიფიციური მკურნალობა.

კანი გარემოს სხვადასხვა ზემოქმედების დამცველი გარეგანი საფარველია. კანი მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ორგანიზმის ცხოველმოქმედებასთან და არცთუ იშვიათად მისი ცვლილება შინაგანი დაავადებების, ნივთიერებათა ცვლის მოშლის მაჩვენებელია. ამიტომ არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ კანის მხრივ, გამონაყარი, დროულად უნდა მივმართოთ ექიმ-დერმატოლოგს – ამბობს ექიმი.

ბატონი რამინი თვლის, რომ კანის დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს პაციენტის და ექიმის შეთანხმებულ თანამშრომლობას, დაუშვებელია თვითმკურნალობა.

კოლეგები მისი შეფასებისას განსაკუთრებულად გამოყოფენ პროფესიონალიზმს, თბილ, ყურადღებიან დამოკიდებულებას პაციენტებისადმი.

ელისო კიტია – შ.პ.ს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმ-თერაპევტი.

ბატონი რამინი ნამდვილად ძლიერი კადრია, ამასთან ის ჭეშმარიტი ინტელიგენტია, მოზომილი, დაკვირვებული, კეთილგანწყობილი როგორც პაციენტებთან, ასევე კოლეგებთან ურთიერთობაში. ჩემს პრაქტიკაში ყოფილა არაერთი ფაქტი, როდესაც ავადმყოფს სჭირდებოდა ექიმ-დერმატოლოგის კონსულტაცია. ბატონი რამინის სწორი დიაგნოზით ხშირად კანის რთული დაავადება გამოვლენილა საწყის ეტაპზე, მინდა წარმატებები და ჯანმრთელობა ვუსურვო მას.

მურმან ბოჯგუა შ.პ.ს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი.

უპირველესად მინდა ვთქვა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი. მართალია სახელმწიფო არ აფინანსებს დერმატოლოგ-ვენეროლოგის მომსახურებას, მაგრამ მივიღეთ გადაწყვეტილება შეგვეტანა უფასო სამედიცინო მომსახურების ჩამონათვალში. ბატონი რამინი მუდამ მზად არის ჩვენს თანაქალაქელებს გაუწიოს ხარისხიანი მომსახურება. მისაბაძია მისი დაუღალავი შრომა, ახალი ინფორმაციისა და კვლევების გაცნობის უნარი, გულისხმიერება პაციენტებისადმი, მათი პრობლემების გათავისება.

რამინ გუნია მზრუნველი მეუღლე, მამა და მოსიყვარულე ბაბუაა. რამინის მეუღლე მარინა გვიჩია-გუნია პროფესიით ფარმაცევტია, ამჟამად კოსმეტოლოგად მუშაობს. უფროსი შვილი ლევანი იურისტია, ირაკლი ტექნოლოგი. შვილიშვილები თამარი, საბა და გიორგი სკოლის მოსწავლეები არიან. მარიამი კავკასიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტია.

რამინ გუნია ყველა ქართველ ბავშვს, ახალგაზრდას საკუთარ შვილიშვილებთან აიგივებს. სურს ახალგაზრდებმა გაერთიანებულ, მთლიან, ეკონომიურად ძლიერ საქართველოში იცხოვრონ.

ყოველი დილით დაუყვება რუსთაველის ქუჩას, გამვლელ-გამომვლელნი ღიმილით ესალმებიან, რომელთა რიგში არიან მადლიერი პაციენტები.

სენაკელებს უყვართ და აფასებენ რამინ გუნიას, ექიმს, რომელიც მუხლჩაუხრელად, თავდადებით და სიყვარულით ემსახურება არჩეულ პროფესიას, საზოგადოებას.

მედეა ბაღათურია

განცხადება

ჩვენი რაიონის მკვიდრი. ღვაწლმოსილი პიროვნება ელდარ კობახიძე დაავადებულია მძიმე სენით ლიმფოიდური ლეიკემია. მკურნალობის ერთი ეტაპი ჩაიტარა ანადოლურ კლინიკაში. მოკლე ხანში აუცილებელია განმეორებითი მკურნალობა, რომლისთვისაც საჭიროა 15 ათასი დოლარი.

გულმხურვალე ადამიანებს ვთხოვთ შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოთ დახმარება. ვაქვეყნებთ საბანკო რეკვიზიტებს.

ანგარიშის მფლობელი(მიმღები): ელდარ კობახიძე
*ს.ს. „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი: **LBRTGE22***
*მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE61LB0711120483178000***

*სს „ფინკა ბანკი საქართველო", ბანკის კოდი **FGEOGE22***
*მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE05FG3360100237772001***

*სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: **BAGAGE22***
*მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE61BG0000000103048632***

*სს თიბისი ბანკი, ბანკის კოდი: **TBCBGE22***
*მიმღების ანგარიშის ნომერი: **GE82TB7780145061100075***

სენაკის ვეტერანთა კავშირი

დაიწყო ხელმოწერა

სენაკის მუნიციპალიტეტის გაზეთმა „კოლხეთმა" 2018 წლის მაისში 95 წელი მოითვალა. მისი მრავალფეროვანი არქივი და გაზეთის ფურცლები მრავალ საინტერესო და ისტორიულ კორესპონდენციას ინახავს.

თითზე ჩამოსათვლელია არათუ რეგიონალური, არამედ რესპუბლიკური გაზეთები, რომლებმაც გაუძლო მძაფრ კატაკლიზმებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც გაზეთის შემოქმედებით მუშაკებს, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას.

„კოლხეთის" დამახასიათებელი ნიშანი იყო და არის ეროვნული სულისკვეთება, დაფასება მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალიზმი, ზრუნვა ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდისადმი, მშობლიური სახლების, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების სფეროში მიმდინარე პროცესებისადმი.

წლებით დატვირთული, გამოცდილი „კოლხეთი" კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის მემატიანედ.

2018 წლის 1 ნოემბრიდან დაიწყო ხელმოწერა გაზეთ „კოლხეთზე", გაზეთის სიცოცხლისუნარიანობას ერთგვარად განსაზღვრავს ხელმომწერთა რაოდენობა.

გვჯერა, ჩვენი ხელმომწერები, სენაკელები კვლავაც უერთგულებენ 95 წლის გაზეთს.

გამოიწერეთ მუნიციპალიტეტის მემატიანე. გწამდეთ, რომ ამით თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ ბეჭდური მედიის განვითარების საქმეში.

ხსოვნა

ლუდა ბოჩაროვა-კვირკველია

„ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო" სწორედ ლუდა ბოჩაროვა-კვირკველიაზეა ნათქვამი. იგი 22 წლისა იყო, როცა ქართველ ვაჟკაცზე, ნუკრი კვირკველიაზე დაქორწინდა, რომელიც ქ. მოსკოვში იმავე უნივერსიტეტში სწავლობდა, სადაც ლუდა. ორივენი პროფესიით ექიმები იყვნენ. ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მოსკოვში. რამდენიმე წლის შემდეგ ნუკრი თავის ოჯახთან ერთად მშობლიურ სოფელ ლესიჭინეში დაბრუნდა, სადაც იგი მთავარ ექიმად მუშაობდა ადგილობრივ საავადმყოფოში, ლუდა კი ქალთა ექიმად. მათი ყურადღებითა და მზრუნველობით მადლიერი პაციენტები, დღესაც დიდი სიყვარულით იხსენებენ ამ არაჩვეულებრივ ადამიანებს, თავიანთი საქმის ნამდვილ პროფესიონალებს. ლუდა ადრე დაქვრივდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე სიყვარულის ერთგული დარჩა და ამიტომ გაზარდა შვილები. ქრისტინა და გიორგი შესანიშნავი ახალგაზრდები არიან. მიუხედავად იმისა რომ ისინი დიდი ხანია საქართველოში აღარ ცხოვრობენ დღემდე არ დაუკარგავთ მშობლიური კუთხისადმი პატივისცემა და სიყვარული. სწორედ ქალბატონი ლუდას დამსახურებაისიც, რომ არამარტო შვილებს, არამედ შვილიშვილებს მიშიკოსა და ნიკუშას უყვართ საქართველო. ქალბატონი ლუდა ეროვნებით რუსი იყო, მაგრამ მას ქართველები და საქართველო ძალიან უყვარდა და მის მეორე სამშობლოდაც მიაჩნდა. იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში, უვლიდა თავის კარმიდამოს, პატივისცემას იჩენდა მეუღლის ახლობლებისადმი. მისივე ანდერძის თანახმად, საქართველოში ჩამოასვენეს და საყვარელი მეუღლის გვერდით სენაკში , მენჯის სასაფლაოზე მიუნინეს სამუდამო ბინა. გვჯერა, რომ ლუდასა და ნუკრის საოცარი საიყვარული ზეციურ საქართველოშიაც გაგრძელდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ლუდა ბოჩაროვა-კვირკველიას ლამაზი სული.

ოჯახი

ჩვენო საყვარელო ზაირა ბებო!

40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ყველას ძალიან დაგვაკლდი. ვიგონებთ შენს სიკეთეს, ზრუნვას ოჯახის წევრებისადმი, ახლობლებისადმი.

როცა საწუთროდან ადამიანი მიდის, იგი უდიდეს ტკივილს ტოვებს ახლობლების მეხსიერებაში.

უფალს ვთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სული. ყოველთვის მოგიგონებთ, ამოგიტანთ ლამაზ ყვავილებს საფლავზე, დავანთებთ თაფლის სანთლებს.

ოჯახის წევრების ხსოვნაში, მუდამ დარჩები კეთილ, ყურადღებიან, თბილ, მოსიყვარულე დედად და ბებიად.

იძინე მშვიდად მზრუნველო ადამიანო!

ოჯახი

ავთანდილ ჩარგაზია

„ჩვენო საყვარელო ბაბული" - ასე გეძახდით შვილიშვილები, ჩვენ, შენთვის ყველაზე ძვირფასი არსებები ვიყავით, ყველაზე ლამაზები და ჭკვიანები.

5 დეკემბერს 9 წელი სრულდება შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვაკლია შენი რჩევა-დარიგება. შენ ხომ შვილიშვილების აღზრდაში პრიორიტეტს განათლებას ანიჭებდი. ოთხი შვილიშვილი დაგვტოვე, ახლა უკვე ექვსნი ვართ, კვალიფიციურ ექიმებად ვყალიბდებით, უმცროსები სკოლაში კარგად ვსწავლობთ.

შენი რჩევა მუდამ ეს იყო – პატივისცემა და მოკრძალების გრძნობა გვქონოდა უფროსებისადმი. ჩვენ ვასრულებთ შენ ნაანდერძევს. დრო ვერ აფერმკრთალებს ახლობელი ადამიანის მონატრებას.

ავთო ბაბუა, მუდამ გვემახსოვრები, მუდამ ვიამაყებთ შენს მიერ სახელოვნად განვლილი შრომითი გზით, ვიცხოვრებთ იმ ზნეობრივი და სულიერი დღირებულებით, რომლითაც მთელი შენი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იღწვოდი.

ნათელი შენს სხივიან სულს.

შვილიშვილები

კახა ჯგერენაია

„თვალში რომ ჩაგივარდეს, თითს არ ამოისვამო" - ისეთ ადამიანზე იტყვიან, თავისი ცხოვრების წესით და ნირით დიდთან დიდი როა და პატარასთან პატარა. ყველას პატივისცემას რომ იმსახურებს, ყველას მიმართ თავისთავადი დამოკიდებულებით რომ ირჩევა, ყველა თავისიანად რომ რაცხს, ... ზუსტად ასეთი პიროვნება იყო კახა ჯგერენაია – კაცთმოყვარე, სხვისი ჭირისა თუ ლხინის გამზიარებელი, მუდამ მზადმყოფი თანადგომისთვის, სიკეთის კეთებისთვის.

იგი წლების მანძილზე ჭყონი-სენაკის მარშრუტზე მძღოლად მუშაობდა, უამრავ სხვადასხვა ხასიათისა და ზნის ადამიანთან უხდებოდა ურთიერთობა, მიუხედავად ამისა მისიგან განაწყენებული არავინ ყოფილა, უფრო მეტიც, თუ ვინმე უგუნებოდ იყო ისე დაელაპარაკებოდა, სათავისოდ განაწყობდა. ჭყონიდან სენაკამდე დამეთანხმებით დიდი მონაკვეთია, ამ გზაზე ყოველ დილით ფოსტალიონივით მცხოვრებლები ბარგს, ფულს ათას რაღაცას ატანდნენ - აქ დატოვე, იმას მიეცი, ეს მიყიდეს თქმით. კახაც ღიმილით ყველას ეგზავნებოდა, ტელეფონზე ფულის ჩარიცხვასაც თხოვდნენ და ისიც უსრულებდა მათ სურვილს. ეს ყოველდღიური მოვლენა იყო. ქორწილებზე და ექსკურსიებზეც კახა მიჰყავდათ. გემრიელი მომსახურება იცი, დროის სასიამოვნოდ გატარებაში გვიწყობს ხელსო – იტყოდნენ. უდალატო მეგობრობა იცოდა, იუმორის გრძნობის მქონე რეგულარულ მგზავრებს არაფრით დატოვებდა, „აბა რომელი გვაკლიაო" - იტყოდა წამოსვლამდე და მერე ძრავდა მანქანას.

ასეთი ბუნების რომ იყო, იმიტომ უყვარდა ყველას, მაგრამ ბოროტ ადამიანს რა გამოლევს ქვეყანაზე. როგორც კი ხმა გავარდა კახას უღვთოდ გაწირვის შესახებ, ნაცნობი თუ უცნობი ღმერთს ევედრებოდა მის განკურნებას. იმედი გვქონდა რომ, გადარჩებოდა, მაგრამ სიკვდილის მსახვრალმა ხელმა არ დაინდო. ადრეც უმუხთლა ბედმა, როცა სრულიად ახალგაზრდას მცირეწლოვანი შვილი წარსტაცა, შემდეგ იყო საყვარელი დის გარდაცვალება. მიუხედავად ასეთი ტკივილისა ყველგან სიცოცხლის ხალისი შეჰქონდა.

კახა, უზომოდ დაგვწყვიტე გული, თურმე რამდენ ადამიანს ჰყვარებიხარ, მათი გულწრფელი სიყვარული და ალალი ცრემლი გაგყვა თან. სანთელ-საკმეველი შენს სავალს.

მეგობრები

რომან მიქავა

მშენებელთა რიგებს გამოაკლდა კვალიფიციური, ნიჭიერი სპეციალისტი რომან მიქავა. დამთავრებული ჰქონდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი და პოლიტოლოგიის ინსტიტუტი: №5 ტრესტში მოსვლისთანავე დაიმკვიდრა კარგი სპეციალისტის სახელი. ნიჭიერმა ინჟინერ-მექანიკოსმა ითავა და ტრესტის ახალგაზრდა მექანიკოსის ფიზიკური დახმარებით დაამონტაჟა ტრესტის სამშენებლო ლაბორატორიის ხარისხის საკონტროლო აპარატურა ანაზღაურების გარეშე (პრესები, საგლეჯი მანქანა-დანადგარი).

რომანი იყო პრინციპული, სამართლიანი, გულდია, მშრომელი ოჯახის შვილი თავადაც გამოირჩეოდა საუკეთესო ადამიანური თვისებებით.

მამა შალვა მიქავა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. ბალტიისპირეთის საბრძოლო მოქმედებების მონაწილეს არაერთი მედალი დაჰქონდა მიღებული.

რომანს ოჯახიდან მოსდგამდა ერთგულება, პატიოსნება ადამიანების სიყვარული. თავადაც ლამაზი, მოსიყვარულე ოჯახის თავკაცი იყო, მზრუნველი მამა და ბაბუა. სიცოცხლის ბოლო წლებში ტაქსს ატარებდა. იქაც დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა.

ნაადრევად წავიდა ამ საწუთროდან. ყოფილ კოლეგებს დაგვიტოვა დიდი ტკივილი, ლამაზად გატარებული წლების მოგონება. დაგვაკლდა კარგი ადამიანი, საუკეთესო სპეციალისტი, უღალატო პიროვნება.

ნათელი მის იმქვეყნიურ გზას.

ზაირა ფაჩულია

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსს გია ხარგელიას მამის

გიგლა ხარგელიას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია მთავარი რედაქტორი ნინო სართანია რედაქტორი მედეა ბაღათურია კორესპონდენტები: მაია ბერგაია, მარიკა მიქაბერიძე ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია	**რედაქციის მისამართი:** **სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150** **რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.** **ინდექსი 66529**	**რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში** **რეგისტრაციის № 56/7-17** **გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში** **ქ.ფოთი წმ.ნინოს №4** **ტელ: 5 (493) 22 24 33**

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲪᲐᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ

იყო დრო, როცა სენაკში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალთა ვოკალური ტრიო „სენაკი“ დარეჯან გელანტიას, დარეჯან ხუნწარიას და ჯენი ჩაკაბერიას შემადგენლობით.

იყო დრო, როცა მათ გარეშე ღონისძიება არ ტარდებოდა.

იყო დრო, ამ ქალბატონების ხმას მსმენელი ათას ხმაში რომ ცნობდა.

იყო დრო დიდი ოვაციების და სიყვარულის, წარმატებების, აღიარების...

იყო დრო ... მაგრამ?!

ეს მე-20 საუკუნის 80-იანი წლებია, როცა ხალიჩების კომბინატში ჩამოყალიბდა აღნიშნული ტრიო. მდიდარმა რეპერტუარმა და მაღალმა საშემსრულებლო ტექნიკამ მათ მოკლე დროში სახელი გაუთქვა. ფირმა მელოდიის მიერ გამოცემულ ფირფიტაში შევიდა შემდეგი სიმღერები: მულაქ ვედგეკვიანას, ნანა, სატრფიალო, მონატრუქი, ვაი შური, ჩქიმ ტორონჯი, მასი ვარდი, მეტი ჯინა ვეშმილებუ, ვენგარა სკუა, სი ყოროფა ვანორჩქვენო, მაფშალია, ყოროფაშ ვარდი, ჩქიმი ცირა, , ჩქიმ ყოროფა.

ფირფიტის ანოტაციაში ვკითხულობთ:

„სიმღერის სიყვარულმა შეახვედრა მშვენიერი კოლხი ასულები ერთმანეთს... დარეჯან გელანტია, ჯენი ჩაკაბერია, დარეჯან ხუნწარია – ასე იცნობენ ქართველი მსმენელები ქალთა ტრიოს „სენაკი“. სიმღერა მათი განუყრელი თანამგზავრია.

ტრიომ საკუთარ შემოქმედებას სათავედ ქართველი ერის ყოფასა და მდიდარი სულიერი სამყაროს შენახვა – გადარჩენა დაუდო.

ტრიომ ორჯერ გაიმარჯვა ხალხური სიმღერების შემსრულებელთა კონკურსზე, ლაურეატი გახდა და ოქროს მედლებიც მიიღო.

1989 წელს იგი გახდა სატელევიზიო კონკურსის „ერთი სიმღერის ფესტივალის“ ლაურეატი“

დაუწერელი აქსიომაა, იქ სადაც რაღაც თავდება, ახალი იწყება. ტრიო „სენაკის“ წინაშეც როცა დადგა ასეთი ჟამი, სოლისტებმაც სხვადასხვა გზით გააგრძელეს მოღვაწეობა. მიუხედავად ამისა ტრიომ თავის არსებობის მანძილზე განუმეორებელი კვალი დატოვა და მისი უბრალოდ დავიწყება შეუძლებელია. ამ დღეებში გარდაიცვალა ტრიოს ერთ-ერთი წევრი -- დარეჯან ხუნწარია, წლების წინ დარეჯან გელანტიამ დაწყვიტა სენაკელებს გული. ჩვენი – მოკვდავების ვალია პატივი მივაგოთ მიცვალებულებს, მაგრამ უფრო დიდი ვალია სიცოცხლეში გვიყვარდეს და დავაფასოთ ერთმანეთი.

მართალია ტრიო „სენაკის“ ქალბატონებს სიცოცხლეში არ აკლდათ სიყვარული და აღიარება, მაგრამ ... მოგეხსენებათ რომ დროის მსახვრალი ხელისთვის უმნიშვნელოა ცნობილი, განსაკუთრებული, გამორჩეული სახელოვანი ადამიანი. ის ერთნაირად ფარავს მივიწყების სამოსით ყოველივეს, აქ მთავარია ჩვენ არ მივცეთ დროს ამის უფლება, ჩვენ ხსვადასხვა ნომინაციებით თუ ფორმებით თაობებს არ დავუკარგოთ მათი სახელი და შემოქმედება.

ჩვენი დღევანდელი წერილიც ამის უპრეტენზიო მცდელობაცაა.

დღეს ახლობლების, ნაცნობების, მათი შემოქმედების თაყვანისმცემლების მოგონებებით გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გავახსენოთ ტრიო „სენაკი“ და პატივი მივაგოთ აწ გარდაცვლილ დარეჯან ხუნწარიასა და დარეჯან გელანტიას.

დათო ხუნწარია -- *საესტრადო-საცირკო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩემი და – დარეჯანი მუშაობდა სენაკის მუსიკალურ სკოლაში. პარალელურად იყო ხალიჩების კომბინატის კლუბშიც, სადაც დაიბადა იდეა ტრიოს ჩამოყალიბებისა და კიდეც შეიქმნა დარეჯან გელანტიას ხელმძღვანელობით. მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდათ, საკრავზეც თვითონ უკრავდნენ. როცა გიტარა სჭირდებოდათ მე ვუწევდი აკომპანიმენტს. მღეროდნენ ჩემი დის შექმნილ სიმღერებსაც, დარეჯანი დედის ლექსებზე ქმნიდა სიმღერას. ასე მაგ:*

ოჯახში ყველა ვმღეროდით – დედა, მამა, მე, დარეჯანი. ბატონი პანტელეიმონ ბოჯგუას ხელმძღვანელობით მომღერალი ოჯახების სტატუსით ხშირად გამოვდიოდით სხვადასხვა ღონისძიებებზე. ამან განაპირობა ჩვენი პროფესიაც.

დარეჯანი ბოლო 8 წელი, მიუხედავად იმისა რომ მძიმე სენი ჰქონდა, ყოჩაღად იყო, მუშაობდა კიდეც, მაგრამ წელს ვეღარ გაუძლო.

ინეზა ღვინჯილია- *თვალწინ მიდგას და ვერა და ვერ ვიგიწყებ დარეჯან ხუნწარიას ღიმილიან და ხალისიან სახეს. ყველგან, ყველასთან დადებითი აურის შემომტანი იყო და გამოირჩეოდა სათნოებით.*

ბუნებისგან მრავალმხრივ დაჯილდოებული, სიცოცხლეს ეტრფოდა და შეჰხაროდა, ეხლაც ყურში ჩამესმის მისი მომხიბვლელი და საამო ჰანგები.

მეძნელება და გული ორმაგად მტკივა, იმიტომ რომ ბევრი აუხდენელი ოცნება დარჩა განსახორციელებელი, მრავალი ახალი სიმღერა სამღერი, შვილების ბედნიერება გასაზიარებელი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ნამდვილად შეძლო...ეს მისდამი სიყვარული და უკვდავყოფაა.

კოვალი ხუნწარია- *დარეჯანი ბავშვობიდანვე მღეროდა, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ისეთ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა, სადაც ყველა ღვთისგან გამორჩეული მუსიკალური ნიჭით იყო დაჯილდოებული. დარეჯანი იყო მსმენელთა გულების მპყრობელი. ის ადვილად ამყარებდა კომუნიკაციას ადამიანებთან. სიკვდილამდე ერთი თვით ადრე დამიკავშირდა. მომიკითხაგავიხსენეთ ბავშვობა. საუბრის ბოლოსკენ მითხრა „კოვალი შენი სისხლი და ხორცი ცუდადაო?. სიჩუმე ჩამოვარდა, ხმა ვერ ამოვიღე. არასოდეს დამავიწყდება ის წუთები.*

დასანანია, რომ სიკვდილი საუკეთესოებს ერჩის. რადგან დარეჯანი მარადისობის ბინადარი გახდა, ჩვენ ისდა დაგვრჩენია მოგონებებში სიცოცხლეზე გიჟურად შეყვარებული დარეჯანი მოვიგონოთ და მოვეფეროთ".

22 წლის წინ სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა დარეჯან გელანტია.

რუსუდან მილიუტინი- *„დარეჯან გელანტია დიბადა 1952 წელს, დაამთავრა ცხაკაიას საშუალო სკოლა და სამუსიკო სკოლა. შემდეგ ჩაირიცხა ქ. თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის III სამუსიკო სასწავლებელში საფორტეპიანო ფაკულტეტზე.*

გასული საუკუნის 80-იან წლებში სენაკში იყო პოპულარული ტრიო „სენაკი". რომლის შემადგენლობაში იყვნენ: დარეჯან გელანტია, დარეჯან ხუნწარია და ჯენი ჩაკაბერია. ისინი მღეროდნენ როგორც ქართულ ხალხურ სიმღერებს, ასევე პოპულარულ ქალაქურ სიმღერებს. ტრიოს სენაკის გარდა იწვევდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, მათი სიმღერები ჟღერდა საქართველოს ტელევიზიაშიც. საქართველოს მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა საზოგადოებამ და ფირმა „მელოდიამ" 1990 წელს, ტრიოს დაარსებიდან 10 წლის იუბილეზე, შექმნეს ფირფიტა(დისკი), რომელზეც ჩაწერეს 14 სიმღერა.

დარეჯან გელანტია მუშაობდა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ცხაკაიას რაიონული გამგეობის სამუსიკო სტუდიაში ფორტეპიანოს მასწავლებლად, შემდეგ კი სამუსიკო სკოლაში.

მისი უდროო წასვლა ამ ქვეყნიდან ძალიან სამწუხარო და მტკივნეული აღმოჩნდა ოჯახისათვის, კოლეგებისათვის და არა მარტო სენაკელთათვის. მან მძიმე ავადმყოფობის შედეგად დაასრულა სიცოცხლე 1996 წელს 44 წლის ასაკში.

სენაკელების სიყვარული და აღიარება თანაბრად ეკუთვნის ტრიოს მესამე წევრს ჯენი ჩაკაბერიასაც. ორივე დარეჯანთან მეგობრობისა და მათი შემოქმედებითი გზის უკვდავსაყოფად დიდხანს იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ ქალბატონო ჯენი.

უკანასკნელი ომი.

დარეჯან ხუნწარია დაიბადა 1962 წლის 8 ნოემბერს. გარდაიცვალა 2018 წლის 8 ნოემბერს.დილით ავი სენისგან გათანგულმა ავადმყოფმა თითქოს მოიხედა, ესიამოვნა მეუღლისა და შვილის მოფერება, დის მისათუთება და დაბადების დღის მილოცვა, მისგან მოწვდილი ჭიქიდან თითქოს მოსვა, შემდეგ



დასვენება ისურვა და გვერდზე გადაბრუნდა . უცებ სიჩუმეში ნელი მაგრამ მკაფიო ხმით 3-ჯერ დაიძახა: დედა, დედა, დედა! და სული დალია.

სიკვდილ-სიცოცხლის გზა-საყარზე ყველაზე უძვირფასესს დედას თუ ეთხოვებოდა ქალბატონი დარეჯანი. ქვეცნობიერში ალბათ ხვდებოდა თავის ხვედრს და დედა თუ ეცოდებოდა, არ უნდოდა ასეთი ტკივილისთვის გაეწირა მშობელი.

დარეჯან ხუნწარია საზოგადოებამ, ახლობლებმა, ოჯახმა, გულდათუთქულმა მოხუცმა დედამ ნოემბრის ერთ ცივ და არც თუ ისე სუსხიან დღეს გააცილა უკანასკნელ გზაზე.

ᲜᲘᲜᲝ ᲡᲐᲠᲗᲘᲐᲜᲘᲐ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ

სენაკელები, მეგობრები, ახლობლები, კოლეგები, სპორტის ქომაგები უზომოდ დაამწუხრა დიდი დამსახურების მქონე ცნობილი პიროვნების დავით კილასონიას გარდაცვალებამ.

იგი დაიბადა 1951 წელს. დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, საქართველოს სპორტის სახელმწიფო ინსტიტუტი მწვრთნელის სპეციალობით.

იგი იყო ღირსების ორდენისა და ღირსების მედლის კავალერი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე და დამსახურებული მწვრთნელი, სსრკ ნაკრების წევრი და „ა“ ნაკრების მწვრთნელი. საქართველოს ეროვნული ნაკრების დამფუძნებელი და მისი პირველი მთავარი მწვრთნელი, სსრკ რაგბის ისტორიაში ევროპის ჩემპიონატის პირველი პრიზიორი, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი (სახელმწიფო მწვრთნელი) სსრკ რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტთამაშობათა სამმართველოს უფროსი. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აღმასკომის წევრი. სეოკ-ის სპორტის ეროვნულ სახეობათა კომისიის თავმჯდომარე, სეოკ-ის კომერციული დირექტორი.

აი რას წერდა ღირსების ორდენის კავალერი ბატონ ირაკლი კიზირია დავით კილასონიაზე მის სიცოცხლეში: **„დავით კილასონია არის საქართველოს რაგბში ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშე, უდიდესი მოაზროვნე, ტენიკური ნახევარმცველი, გამთამაშებელი და გოლეადორიც – 1978 წელს, როდესაც თბილისს „ლოკომოტივმა“ მოიპოვა სსრკ თასი და გახდა ჩემპიონატის პრიზიორი „გუნდის წლიური მონაგარი შეადგენდა 197 ქულას, აქედან-108 პირადად დათოს ანგარიშზე იყო.**

ევროპის საერთაშორისო ფედერაციის წევრმა, დოქტორმა ი. ირიმესკუმ დათოზე თქვა: ეს ბიჭი ევროპის ნებისმიერი გუნდს დაამშვენებსო.

როცა თამაშობდა, იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ მოთამაშე მწვრთნელი იყო („ლოკომოტივი“, „შევარდენი“) თამაშს თავი რომ დაანება, აღნიშნული გუნდების გარდა, წვრთნიდა საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებს და ყველგან თან სდევდა წარმატება.

დიდი მოთამაშე და მწვრთნელი იყო და კიდევ უფრო დიდი ხელმძღვანელი. ქართული რაგბის ერთ-ერთი „ოქროს მონაკვეთი“ დათოს სახელმწიფო მწვრთნელობას (იმავე პრეზიდენტობას) ემთხვევა: ქუთაისის „აიას“ გამარჯვებები, სსრკ-ს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სამი გუნდის („აია“, „ლოკომოტივი“, „შევარდენი“) თამაში, საქართველოს ტელევიზიაში რაგბის გადაცემების დაწყება (თვითონ მიყავდა), ფიზკულტურის ინსტიტუტში მისი ინიციატივით რაგბის სპეციალობის გასხნა, (თვითონ კითხულობდა ლექციებს), გაზეთ „ლელოში“ თამაშების პროფესიონალური გარჩევა (დათო თვითონ წერდა სტატიებს). დათოს ინიციატივით დაიწყო რაგბის კულტივირება: ბათუმში, ფოთში, ლენტეხში, რუსთავში, თელავში, ჩოხატაურში, ლანჩხუთში, სენაკში. გაიხსნა რაგბის სპორტსკოლები და დაიწყო რეგულარული შეჯიბრებები ბავშვთა და მოზარდთა შორის რესპუბლიკის მასშტაბით. მარტო ის რად ღირდა რომ დათოს „ნაჩალიჩევმა“ მოსკოვში შედეგი გამოიღო და თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის რაგბის გუნდი და ქართველი მორაგბეები სავალდებულო სამხედრო სამსახურს გუნდში იხდიდნენ.

დათოს „ბურძგლას“ და „ბელუხას“ დამსახურებაა, რომ დღეს ასობით ქართველი მორაგბე თამაშობს სხვა ქვეყანაში. ეს მათ „გაჭრეს“ ფანჯარა ევროპაში.

საქართველოს სპორტის ისტორიაში პირველად დათოს ინიციატივით ჩამოყალიბდა ეროვნული ნაკრები და ამ ნაკრებმა ქართული სპორტის ისტორიაში პირველმა ჩაატარა საერთაშორისო ტესტ-მატჩი ზიმბაბვესთან (1989 წლის 12 სექტემბერი, ქუთაისი).

ასევე დათოს უშუალო გარჯით, ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების ისტორიაში პირველად, საქართველოს რაგბის კავშირი გახდა საერთაშორისო რაგბის საბჭოს წევრი.

იგი არის საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტს რწმუნებული სამეგრელოში, რეგიონის რაგბის კავშირის თავმჯდომარე.

სამეგრელოში ამ ორ წელიწადში უკვე გაოთხმაგდა რაგბის მოთამაშეთა და სპორტის ამ სახეობით გატაცებულ მოზარდთა რიცხვი. რაგბის სექციები გაიხსნა: მარტვილში, ხობში, აბაშაში, იხსნება ჩხოროწყუში, ზუგდიდსა და წალენჯიხაში (ფოთსა და სენაკში ისედაც იყო გახსნილი, ისიც – დათოს ინიციატივით). რაც შეეხება რაგბის მონათესავე, ჩვენს ეროვნულ თამაშს – ლელოს რომელიც 2500 წლისაა, ისევ დათოს ინიციატივით, პირველად საქართველოში, სენაკში დაფუძნდა ლელოს ფედერაცია.

2012 წლიდან ლელო აღორძინდება სენაკსა და მის მიმდებარე სოფლებში. ამ ტრადიციულ ეროვნულ თამაშს ითამაშებენ სამეგრელოსა და მთელს საქართველოში. ინიციატივა დავით კილასონიასგან მოდის და ასეც მოხდება, რისი დასტურიცაა ცხოვრება დათოსი-ერის კაცის, ლეგენდისა".

უკანასკნელ გზაზე ზღვა ხალხმა მიაგო პატივი ბატონ დავით კილასონიას სენაკის საპატიო მოქალაქე დიდი პატივით დაკრძალეს თბილისში.

სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა მის სპეტაკ სულს.

„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲔᲚᲔᲑᲘ"